№ 183 1877—1897 № 183

პარასკევი, 5 სექტემბერი, 1897 წ. პარასკევი, 5 სექტემბერი, 1897 წ.

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე ძმებითურთ დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თავისის ძვირფასის დედის

მარიამ სოლომონის ასულის ცხვედაძის

გარდაცვალებას 3-ს სექტემბერს, სოფ. კავთისხევში, სადაც დასაფლავებენ იქმნება შაბათს, 6 სექტემბერს. (1—169—1).

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჯდირს **4 მან. 75 კაპ.**

ქართული თეატრი

ქართულის თეატრის ამხანაგობის ეამეეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ,** რომელნიც მოისურვებენ ქართული თეატრში სამსახურს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს** ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული, ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს, თავისის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით.

(10—5.—5)

ქართული შინაური თეატრი კვირას, 7 სექტემბერს, 1897 წ. ავლაბარში, ფალავანდოვის ქუჩა, ნარიმანოვის სახლეში

ალ. თამაზიშვილი გამართავს სახალხო ქართულ წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქმნება:

I

ადვოკატი მელაძე

კომ. 2 მოქ., თარგ. ივ. მაჩაბლისა.

II

ბაიქუში

კომ. 2 მოქ., თხზ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენის შემდეგ იქმნება

საერთო ლეკური

დასწყისი 7 საათზედ.

(2—უ.—1).

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში დაცლილია მათემატიკის მასწავლებლის ადგილი და იმის დაჭერის მსურველმა უნდა მიჰმართოს თხოვნით ამ სკოლის ინსპექტორს.

(2—უ.—1).

მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: უმრთებელესის სენატის მესამე დეპარტამენტის ობერ-პროკურორის ამხანაგი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ივანეს ძე—ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ; ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალდებლის ამხანაგი სტატსკი სოვეტნიკი შარიგინი—ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ; ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალ-მდებელი სტატსკი სოვეტნიკი ივანოვი—ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალ-მდებლის ამხანაგად; მოსკოვის ოლქის სასამართლოს წევრი სტატსკი სოვეტნიკი ოტტო—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალ-მდებლად.

დანიშნულ იქმნენ: ბორჩალოს მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე თავადი აბაზი—ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ. თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოსამსახურე, კოლეგესკი სეკრეტარი გიორგი მგალობლიშვილი—სოხუმიშის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწედ.

გადაყვანილ იქმნენ: ელენოვის ფოსტა ტელეგრაფის კანცელარიის მე-VI ხარისხის მოსამსახურე კოლეგესკი სეკრეტარი დავარენტი ჯავრიშვილი—მცხეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელედ; ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე სტეფანე კომეტიანი—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ; ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ყაზიზიშვილი—ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ; ჯვალოლოლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ეგეკანი ნათელაძე—ბუბრის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა: თავისისაკე თხოვნით გუმბრის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გიორგი გველესიანი.

ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის პოლიციმეისტერი დ. ს. ს. ლ. ვ. მასტიციკი გუშინ ღილით ჩამოვიდა ტფილისს და დღეიდგან შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

⁂ ნიხრის კომისიამ გუშინ დაადგინა, ცხვრის ხორცის ნიხრი ივიდ დარჩესო ე. ი. 8 კაპ. გირვანქა, ძროხის ხორცი—7 კაპ. გირვანქა, მხოლოდ პურზე ნიხრმა აიწია. კომისიამ დაადგინა 1-ლი ხარისხის პური გაიყიდოს გირვანქა 4 კაპ. მაგიერად ერთ შაურად გირვანქა და მეორე და მესამე ხარისხის პურს გირვანქაზე ნახევარი კაპეიკი მოუმატა.

⁂ შაბათს კრებაა დანიშნული ქალაქის გამგეობისა, რამდენიმე ხმოსნებისა და საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისისა ტფილისის ცხენის რკინის გზების ქალაქის მიერ შესყიდვის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ ქალაქის საყასბოში ახალის შენობებისა და ძველ შენობების შეკეთება უკვე გაუთავებიათ. გაუმართავთ აგრედვე საქონლისათვის ბაკი. პირველზე ქალაქს დაუხარჯნია 11,000 მანეთი, ბაკის გამართვაზეკი—4,150 მან.

⁂ ვერის ლაგერში 1-ს სექტემბერს კავკასიის საპაორის ბრიგადა მოვიდა სააღლუმოდ. ამ ქამად აღლუმისათვის დანიშნულს ჯარს თავი მოუყრია სულ ვერაზე და ავლაბარში 25½ ბატალიონი ჯარია, 12 ესკადრონი ცხენოსანი, 500 ყაზახი და 52 ზარბაზანი. აღლუმი დაიწყება 12-ს სექტემბერს და გასტანს სამს დღეს, 14-ს სექტემბერს კავკასიის მთავარ-მართებელი ჯარს დაითხოვს.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ წერაკითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას განუზრახავს შეისყიდოს ტფილისის პოლიციმეისტრის არხივი საქართველოს რუსეთის შეერთების ღღიდგან 1801 წ.—1870 წლამდე, რადგანაც დასახელებულ არხივში მრავალი საისტორიო მასალა აღმოჩენილა, რომელისაც სხვა ძველ უფარგის ქაღალდებთან ერთად წონით გაყიდვა სწადიანთ.

⁂ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის ელექტრონით განსათებლად მიუწვევიათ ელექტროტეხნიკოსი ა. ფ. ილიასი, რომელსაც განუზრახავს ელექტრონის მანქანების სამუშაოდ შეშის და მაზუტის მაგივრად ბენზინი აბმაროს, საელექტრონო სადგურში სამს „გაზომოტორს“ დასდგავენ: ერთს თეატრისათვის, ერთს მაღაზიების განსათებლად და ერთი გაზომოტორიც იდგება სამუშაოდ მაშინ, როდესაც ან თეატრის და ანუ მაღაზიების გაზომოტორი გაფუჭდება.

⁂ გაზეთ „კავკაზ“-ის რედაქტორი ვ. ლ. ველიჩკო გუშინ ტფილისს დაბრუნდა პოლტავის გუბერნიიდგან.

⁂ ტფილისის გუბერნატორად ნამყოფ თავ. გიორგი დმიტრის ძე შარვაშიძისათვის მისნი თანამსახურნი ალბომს თურმე ამზადებენ საჩუქრად. როგორც მოდელიდგანა სჩანს, ალბომი ჩვეულებრივის საკაბინეთო ალბომის ზომისაა, ზემოთა ყდა ვერცხლისა აქვს და შუაში თავ. გ. დ. შარვაშიძის სურათია მოთავსებული. სურათს თავზედ საგვარეულო გერბი აქვს ამოჭრილი და დაბლა ტფილისის საგუბერნიო გერბი. ამავე ზემოთა ყდის კუთხეებში, მარცხნივ, ზემოდ პურის მაღაზიაა დახატული და ზედ აწერია, თუ გუბერნატორობიდგან გადადგომის დღემდე რამოდენი პური შეუკრებიათ ტფილისის გუბერნიის სასოფლო მაღაზიებშე; მარჯვნივ, ზემოდვე ეს მანათიანებია გადაჯვარედნებული და ზედ აწერია: „საყოველთაო სასარგებლო თანხა; 1889—1897 წელი“ (ამითი აღნიშნულია დრო, რომლიდგანაც ეს თანხა არსებობს და გუბერნატორის თანამდებობიდგან გადადგომის დრო); მარცხნივ, ქვეით ვენახი ჰხატია შიგ ჩავლებულის გზითა და აწერია: „საზოგადო ვენახები და საერობო გზები: კახეთი, თიანეთი, ანანაური და კავკავი“ და მარჯვნივ, ქვეით აწერია: „ღრმად პატივცემულს თავ. გ. დ. შარვაშიძეს ტფილისის გუბერნიის მადლობელ თანამსახურთაგან“. ალბომში მოთავსებული იქმნება საგუბერნიო სამმართველოში მსახურთა და მთელის გუბერნიის სამაზრო პოლიციის მოხელეთა ფოტოგრაფიული სურათები. როგორც მოდელი დგანა სჩანს, ალბომი საუცხოო რამ იქნება.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ ახლა უკვე მეორედ აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახალხო მატარებლების ვაგონებში ნომერ დასმული ადგილები იქმნას შემოღებული. ამ საგანს რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების კრება განიხილავს, რომელიც სექტემბრისათვის არის მიწვეული.

⁂ საუფლისწულო მამულების გამგეობას აზრად აქვს გამართოს კავკასიაში ვარდის პლანტაციები, რისთვისაც საჭირო ვარდს ბოლგარიიდგან გამოიწერენ. მუშაობა ოქტომბერში დაიწყება.

⁂ ავლაბრის სამოქალაქო სკოლაში შესვლის სურვილი სულ 150 კაცმა განაცხადა, ხოლო მიღებულ იქმნა მარტო—25 კაცი.

⁂ გზათა მინისტრის განკარგულებით, საზამთრო რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან დაიწყება. სახელმწიფო თუ კერძო კაცთა და ამხანაგობათა რკინის გზებს უკვე წარუდგენიათ პროექტები დასამტკიცებლად.

⁂ აგრონომ კანდურალოვს ქ. ვორის ვენახებში ვაზის ახალი ავადმყოფობა ბლეკ-როტი აღმოუჩენია. აგრონომის კანდურალოვის აზრით, ეს ავადმყოფობა ჯერ ახალი გაჩენილია.

⁂ რაც ამ წელს ჩაქვაში ჩინური ჭინჭარი მოუყვანიათ, მთლად სახელმწიფო ქაღალდის ფულის მომმზადებელ ექსპედიციისათვის გაუგზავნიათ და განზრახვა თურმე აქვთ, მომავალის წლისათვის ერთი ორად მეტი ადგილი დაუთმონ ამ ჭინჭარს. ამ ღამად ქაღალდის ფულისათვის საჭირო ჭინჭარს ჩინეთიდგან იწერს სახელმწიფო, მაგრამ, როგორც დღევანდელი გარემობა გვიჩვენებს, მალე სრულიად აღარ გამოიწერს და ადგილობრივ მოყვანილს ჭინჭარს ახმარებს სახელმწიფო ქაღალდის ფულს.

⁂ ამ სეზონში ტფილისის საოპერო დასში ქ-ნი ჰაპაიანი და ბ-ნი კარგარეთელიც მიიღებენ მონაწილეობას. წარმოდგენები 1-ლ ოქტომბრამდე უთუოდ დაიწყება.

⁂ ქუთაისში უკვე გაიხსნა რეალური სასწავლებელი.

⁂ დიმის საწყლე ოლქში ტფილისის გუბერნატორმა მერაბად ს. მ. გულისაშვილი დამტკიცა, ხოლო საბჭოს წევრებად დამტკიცებულ იქმნენ: ი. თურქიაშვილი, გ. ბილაური, ი. სუტიაშვილი; კანდიდატებად დამტკიცებულ იქმნენ: ლ. მზარეულიშვილი, ი. ფანალაძე, ი. სონდულაშვილი და ა. კენკლიაშვილი.

⁂ გაზ. „სინ ოტეჩესტვა“ სწერს, ის ამბავი, რომ კავკასიაში 18 ახალი სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსდებაო, სრულიად ტყუილიაო.

⁂ პირველ სექტემბერს ტფილისის სასულიერო სემინარიაში დარჩენილ მისაღები ეგზამენები, ხოლო სამს—სწავლა დაიწყო. წელს სემინარიაში მისაღები ეგზამენები სულ 52 კაცმა დაიჭირა, მათ შორის 51 კაცმა სასულიერო სასწავლებელი გაათავა, ხოლო ერთი გიმნაზიაში სწავლობდა. მიღებულ იქმნა 36 კაცი, დანარჩენნი უარი ეთქვა. ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გათავებულმა 27 კაცმა დაიჭირა ეგზამენი, მათში მიღებულ იქმნა—18, გორის სასულიერო სასწავლებლიდგან—12, მიღებულ იქმნა—11, თელავის სასულიერო სასწავლებლიდგან-12, მიღებულ იქმნა—1.

⁂ პარიზის jarden des plantes-ს დირექტორმა მაქსიმ კორნიუმ 30 და-

31 აგვისტოს დაწვრილებით დაათვალიერა ტფილისის ბოტანიკური ბაღი და 1-ლს სექტემბერს ბაქოს წავიდა. აქედგან იგი ჩაქვაში წავა, რომ ადგილობრივი ჩაის პლანტაციები დაათვალიეროს. ჩაქვიდგან იგი სოხუმსა და სოჭში ჩავა, რომ ადგილობრივი ბაღები ინახულოს.

⁂ როგორც გზა. „კავკაზ“-სა სწერენ, მიკოლოგოსს ბ-ნ იაჩევსკის ბლეკ-როტი შავის-ზღვის გუბერნიის ვენახებშიაც აღმოუჩენია.

⁂ პოლიციის მეცხრე ნაწილის ზედამხედველმა ოსიფოვმა ამ დღეებში შეიპყრა დამნაშავე ალ. იუზბაშევი, რომელმაც ამას წინად პოლკოვნიკის ქვრივის ქ-ნის წილოსნის ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთები მოიპარა 1,600 მან. ღირებულობისა. იუზბაშევი სასამართლოს მე-3 განყოფილების გამომძიებელმა მეტხის ციხეში დაპატიმრა.

⁂ ქ. ტფილისში მცხოვრებმა ემილია გლაბუნოვისამ, რომელიც ბაზრის ქ. სტეფოროს თავ. ეფრსთავის სახლში, პოლიციას განუცხადა, რომ სახლიდგან ერთი ოქროს ბრასლეტი, 60 მან. ღირებული და 150 მან. ღირებული 5 ბრილიანტებით შემკული ოქროს ბეჭედი მომპარესო. გლაზუნოვისამ ეჭვი თავისს მოსამსახურე რაჭის მცხოვრებ კონსტანტინე პატარაძეზედ მიიტანა, რომელიც პოლიციამ უკვე შეიპყრა.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. **ახალდაბა** (ბორჯომის, სეფის). ახალდაბა მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირას დ. ბორჯომიდგან ოხუთმეტი ვერსის საშორეზედ. ეს სოფელი ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც გაშენებულა და ამ ჟამად აქ 44 მოსახლეა. ამ სოფელს ორი სიგრძე გზა ჰქონდა: ერთი გადმოთ ბორჯომიდგან და მეორე — ხიდით იყო შეერთებული ახალდაბის გზა ტკეცილთან, მაგრამ ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ორივე გზა ხელიდგან გამოეცალა. გამოდმა სიფრე გზაზედ, რომელიც კაი-კიკლასით და ოფლის ფერით იყო გაკეთებული, რკინის გზის დანიდგამ გაიარა და ესლა ქვეთოა კაცს თუ შეუძლიან გაკვლა, ისიც ლანდგზედ. ხიდი-კი შარშანდელმა წყალ დადბამ წაიღო. ასეეე არიან გაჭირვებულნი ეგზოთით ამიკე ხეობაში მოიწყვეულნი სოფლები: ნეზეი, კეფტანეთი, ბეშეთი, ვარდენთი, ეკიბანი და ბერის სიფლარი, სადაც სამასზედ მეტი მოსახლეკა. აქაურს მცხოვრებლებს არა ერთისედ და ორჯედ უთხოვნათ სადაც ჯერ არს როგორც ხიდის, აგრეთვე გზის გაკეთების, მაგრამ სიქმეს მაინც არაფერი ეშველა. აქაურები მტკვარში ესრედ წოდებულ „კატარღით“ გადიან. „კატარღა“ სამი შეკერილი ხეა, მოძეტებულ ნაწილს სიფანეკები გაღმა აქვს და მტკვარში გასვლა-გამოსვლის დროს უბედურება ძალიან ხშირია ხოლმე: ხან ხარი ეგრეობით და ხან კაცი.

აქეთ შარშან ნაკლები მოსახვლი იყო და ხალხი შიმშილით ამოწყდებოდა ბორჯომში, რომ ერთს მეგრელს საქმიდი არ მოეტანა და ფეთი 48—55 კაპეიკად არ გაეყიდნა. ეროგო არ ეფლანა, ეისიც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება აქაურის ხალხის კაჭარეკულ მდგომარეობას და შეიმდგომლობა გასწიოს მოსავრობის წინაშე როგორც ხიდის, აგრეთვე გზის გაკეთების შესახებ. ბორჯომის ხეობის მცხოვრენი თითქმის ყველანი მეტიანენი არიან და ამითი არნენენ ცოდა-შეიღს, თორემ მოსავალი რამდენსმე თვეს ძლიერ კეკეკეთ ხოლმე. წრეულს ბეთის მოსავალი ნაკლებია, ხოლო დანარჩენს ზარნახულს კარგი ბარი ეწინს. მეტიკეკო

ფელეტონი

ბ-ნი Შ. ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲙᲘᲠᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲘᲡᲙᲔᲚᲘ ᲔᲢᲘᲣᲓᲔᲑᲘ.

(დასასრული *)

სასაცილოა, როცა სულით გლახაკი კაპკაპივით იმეორებს გაზეთებულს ფრაზებს და იმისთანა საგნებზედ ჭლაპარაკობს თავმომწონედ, რაც მისი საქმე არ არის, და აი, სწორედ ასეთი სულით გლახაკები არიან, ყველა ჩვენ მიერ ნახული ბ-ნ არაგვისპირელის მგირებიც. მაგრამ, იქნება სთქვას ვინმე, ალბად ასეთია ჩვენი ცხოვრება, რომ ნიჭიერს ბელეტრისტს იმათთვის მოუცლია; ალბად ჩვენი ეხლანდელი თაობა სულ ამისთანა სულით გლახაკებისაგან შესდგება და ცხოვრების მემატანეც ვალდებული იყო, ისინი დაეხატაო. რომ ჩვენი ცხოვრება ამ ჟამად ერთობ დაკნინებულია და ჩვენი თაობაც, თითქო გარიყულიაო, უმოქმედოდ რჩება, ეს ცხადია და ამაზედ თქვენს უმორჩილეს მონასაც არა ერთხელ ჰქონია ბაასი, მაგრამ მიზეზი ამისი სულ სხვა რამ არის და მწერალიც მოვალეა, როცა ეხლანდელის ჩვენის ცხოვრებიდგან აღებულ ტიპებს გვისახავს, თვით ამ მიზეზსაც შეეხოს! ბ ნმა არაგვისპირელმა-კი განა ერთხელ მაინც თუნდ გაკვრით დაასახელა რომელიმე მიზეზი ჩვენის ცხოვრების დაკნინებისა? არა. იგი მხოლოდ ყოველგან და ყოველთვის სიყვარულს წამოსჩხირავს და ქალის, ან კაცის მაცდურობა არა-გულწრფელობას ჰსახავს ყოველის უბედურების მიზეზად, თითქო ჩვენი ახალგაზდობა მართლა არშიყობაზედ იყოს მხოლოდ გადამკვდარი და სხვა არაფერი აწუხებდეს. ეს ცილისწამებაა, რადგან ჩვენი ახალგაზდობა სრულიადაც არ არის ისე გართული მარტო სამიჯნურო საქმეებში, როგორც ბ-ნი არაგვისპირელი გვიხატავს.

აიღეთ თუნდ მისი ჯერ არ განხილული ორი ახალი ეტიუდი „მძულხარო!“ („კვალი“ № 1, 1897 წ.) და „სულ ერთია“ („მოამბე“, № VI, 1897 წ.). ორივე ეტიუდი ერთსა და იმავეს მოგვითხრობს: ჯერ კაცი იტანჯება ქალის სიყვარულით, მაგრამ ქალი არ თანაუგრძნობს იმისს გრძნობას, შემდეგ ქალი იტანჯება ამავე სიყვარულით, მაგრამ ახლა კაცი არ თანაუგრძნობს და ამნაირად სამაგიეროს უხდის საყვარელს და ახლა-კი შეძულებულს არსებას. დიახ, ორივე ამ ეტიუდის შინაარსისა არის და განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი უფრო პატარაა, ვიდრე მეორე; ის უფრო მარტივად და სადად ჰხდება, ვიდრე ეს. უფისოდაც ერთობ გაგრძელდა ჩემი წერილი და ამიტომ ალარ შევჩერდები ამ ეტიუდებზედ, რადგან ნათქვამიდგანაც ცხადადა სჩანს, რომ მისი გმირები მოტყუებულან და წრფელი და ჭეშმარიტი სიყვარული-კი არა ყოფილა დამკვიდრებული იმათ გულში, არამედ მხოლოდ სურვილი აღძრულ ენების დაკმაყოფილებისა. მეც იმას ვამბობო, იტყვის ბ-ნი არაგვისპირელი, რომ წრფელი და ჭეშმარიტი სიყვარული არ არსებობს ქვეყანაზედ, არამედ მხოლოდ სურვილი ენების დაკმაყოფილებისაო; საზოგადოდ გულწრფელობა არავის მოეპოვება და ყველა ერთმანეთსა და ქვეყანას ატყუებსო, და თავისის სიტყვების დასამტკიცებლად მოიყვანს თუნდ თავის სავე სულ უკანასკნელ ეტიუდს: „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“ („ივერია“ № 129, 1897 წ.).

ამ ეტიუდში განგება აჯილდოვებს გმირს გულთამხილაობით და ესეც მადლობასა სწირავს უფალს, რომ მისთვის ადამიანის „სული, გული, აზრი დაფარული აღარ არის“ და შეუძლიან თავისუფლად ამოიკითხოს ყველას გულში, თითქო გაშლილი წიგნიაო, „სულ ულომესი, მისთვისაც-კი დაფარული და უჩინარი... საიდუმლოთა საიდუმლოება“. გმირიც დგება გაგულთამხილავებული ტაძრის შესავალში და ჰკითხულობს ადამიანთა გულის საიდუმლოებათ, რომელთაც თავის კომენტარიებით თვალ-წინ გვიშლის აღშფოთებული და აღელვებული, რომ სისაძაგლისა და საზიზღროების მეტს ვერავის გულში ვერაფერსა ჰხედავს. ახალგაზდა მხეკალი, რომელიც საყვარელმა მოატყუა, და ახლა იმიტომ მოდის, რომ სთხოვოს უფალს, „დასტანჯოს, არ მოასვენოს“ მისი შემცდენელი და „შეაძლებინოს მისი ხელითვე ჯავრი ამოიყაროს“; მოხუცი დედაბერი, რომელიც პირჯვარს იწერს, მაგრამ გულწრფელადკი არა, გული სხვაგან გაურბის და ახლაც ამ წმინდა ადგილზე, როგორც ყოველთვის და ყოველგან, სცრუობს; უნენელიედ ქმარს მოშორებული ცოლი, რომელიც-კი არ სწუხს ქმრის მოშორებას, უხარიან კიდეც, რადგან გული სხვისთვის უცემს; შეყვარებულები, რომელთაც „სათავეშივე დაიწყეს ცბიერება“ და მხოლოდ ატყუებენ ერთმანეთს, რადგან, როცა-კი ერთმანეთს არ ჰხედავენ, სრულიადაც არ ახსოვთ ერთმანეთი და სხვები უნდათ; ყელი-რსი მწყემსი, რომელიც ბოროტად სარგებლობს თავის მდგომარეობით; მოღვაწე, რომელიც სიტყვით თავდადებულია მამულისა და საზოგადო საქმისთვის და საქმით-კი თვალთმაქცობს და ყველაზედ უფრო საზიზღარია; მგობრები, რომელნიც შესახედავად ერთმანეთისთვის თავს გასწირავენ, ნამდვილად-კი ატყუებენ და ორგულობენ ერთმანეთს და არაფერს არ ჭზოგავენ ერთმანეთის დასამცირებლად, რომ თავიანთი პიროვნება აამაღლონ, აი ვინ გაიგლის ჩვენ თვალ-წინ ერთი წამის განმავლობაში და შეგა ტაძარში, რომელიც ამ ნაირად წმინდა ადგილს-კი აღარ წარმოადგენს, არამედ შესაკრებელს ორგულთა და ფარისეველთა.

უფალო, უფალო!.. ნუ თუ აღარ ეყოფა ადამიანებს საკმარისად აჯილდოკვებს, მაგრამ შეიძრაგ გულ-დასაწყვეტი ამბავი თან ახლავს, წელწადი არ გავა ისე, რომ ოთხი კაცი მაინც არ ამსხვერდოს მტკვარმა. ამ ერთის წლის განმავლობაში ხუთი კაცია მტკვარში დამწყვდა.

სოლომონ იოსავა

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲫᲘᲖᲘᲧᲘᲓᲒᲐᲜ

წარსული ზაფხული ვერაფერი შვილი გამოდგა ქიზიყისათვის. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ციგ ცხელებამ გაუპირა საქმე დიდსა და პატარას, მდიდარსა და ღარიბს. საკიროველი და საყურადღებო საქმეა ციგ-ცხელების გავრცელება, ასე პირ-წმინდად მოდება... ამ ორის წლის წინად მეტად იშვიათი იყო ციგ-ცხელება, მომეტებულად მაღლობ ქიზიყში, მაგრამ წელს ზაფხულს და ცოტა შარშანაც ილაჯი გაუწყვიტა უიმისოთაც ილაჯ გაწყვეტილს ხალხს: არა ერთი და ორი მშრომელი გლეხი მოაცდინა წყეულმა ციგმამ მუშობას, არა ერთი და ორი ოჯახი ამის გამო დასვა ცარიელზედ სახამოროდ, რადგანაც უპატრონოდ, უწამლოდ დარჩენილი ხალხი თვეობით ვერ ახწევდა თავს ამ სენს. თუმცა სიღნაღში ბრძანდება მაზრის ექიმი, რომლის მოწვევა ქვეყმო ქიზიყში, სულ რომ ცოტა, 12-13 მან. ჯდება, მაგრამ იმას ჩვენ ვინ გვალირსებს, როდესაც ჩვენს მაზრას ფულიანი ხალხი საკმარისად ასხია ქიზიყს, თუმცა ექიმი არა ჰყოფს, მაგრამ აფთიაქი-კი აქვს, მაგრამ აქედგან უფულოდ ხომ არავის აძლევენ წამლებს. ხოლო ჩვენს გალატაკებულს ხალხს ამაზი ენატრება, ციგების უებარი წამალი-კი შვიდ ამაზიანი წამალია... ეხლა თვით გლეხობა კარგად ჰხედავს ავადმყოფთა თავ შესაფარის დაარსების საჭიროებას, რისთვისაც უკვე შემდგარია საპირო განაჩენები. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე, რომელსაც მეტად შესტკივა ბეჭავის ხალხისათვის გული, რამდენადაც შესაძლებელი იქნება დაიჩარებს თავშესაფარის დაარსების საქმეს და ამითი მრავალს უბედურებას გადაარჩენს წუთი-სოფლის გამოსალმებისაგან.

შედარებით წელს ქიზიყს ძალიან მცირე მოსავალი მოუვიდა, რაც სხვათა შორის ცხადად ეტყობა სულადის ფასების აწევას. მაგალითად, წინა წლებში კალოობაში პური რვა-ცხრა აბაზად და ხან ორ მანეთად იყიდებოდა კოდი, ხოლო ქერი-სამოთხ აბაზად. წელს ხორბალი 13-14 აბაზამდის ავიდა, ქერის ფასმა-კი 8—9 აბაზამდის აიწია. წინად თუქურმიშაში თავიანთის ურმითა და ტომარსაკალოებით მიტანილ ქერში მუდარით ფუთში აბაზს ძლივს ახწევდნენ ოთაროვს, რომელსაც დრაგუნის ჯარისათვის ქერები იჯარითა აქვს აღებული,—ეხლა კი თვით ოთაროვი მოუტანლად, ალაგობრივ ჰყიდულობს ფუთს ათ შაურად. მოუსავლობა მუშის ფასსაც დაეტყო: კვლავ მუშა 80 კაპ. და მანეთიც ყოფილა დღეში, წელს სამ აბაზადაც კი იხვეწებოდნენ.

ქიზიყი სხვათა შორის ნაქებია ლეღვითაც, რომელსაც ჩალის ფასად ჰყიდიან სიღნაღში. ხშირად მშვენიერ ლეღვის ჩირებსაც ამზადებენ. წელს კი ერთ გვარმა ავადმყოფობამ ბოლო მოუღო ქიზიყის ლეღვინობას. ეს ავადმყოფობა იმაში მდგომარეობს, რომ ლეღვს ჯერ უმეწეკადება ფოთოლი, შემდეგ ლეჩაქსავით უფაფაღვდება, რის გამოც ფოთოლიცა და კაკარაც სცვივა. ამასთანავე კაკრას, ხან ნახევრად დამწიფებულს, ჭიაც უჭნდება. ამბობენ, ამ ავადმყოფობას ძალიანა შველის ბორდოს სითხეო, ე. ი. ის წამლობა, რითაც მიღდიუს არჩენენ. საჭიროა მცოდნე კაცებმა თავიანთ აზრი წარმოსთქვან ამ სენის და იმისის წამლობის შესახებ.

ერთი საყურადღებო ამბავი ხდებოდა ამ ზაფხულს ქიზიყში, რომელსაც უეჭველად სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს. უსაქმო ვაკბატონებმა მთელს ზაფხულს ზოგიერთი სოფლები სულ ჩააქვავეს. კარგად დაბნელდებოდა თუ არა, გადმოდიოდა ქვა და ამტვრევდა კრამტს. გამოცვივდებოდა ხოლმე გარეთ სოფლად დარჩენილი დედაბრობა და წვრილფეხობა (ზაფხულობით თითქმის მთელი ქიზიყი აიყრება ხოლმე კრუხ-ჩუჩულიანად და მინდვრად გადის კალოებზედ) ყივილ-ბივილით და „გვიშველეთ, ჩაგვაქვავეს“ ძახილით, მაგრამ მშველელი არსად იყო, გარდა ვენახების მეველისა, რომელიც ლანძღვა-გინებით, სამს სამოც-და-სამის წმ. გიორგის სახელით აჩვენებდა იმ ვითომდა მაგნე სულებს, რომლებიც ასე უდიერად ეკიდებოდნენ უპატრონოდ დარჩენილს სოფელს და თანაც ისროდა თოფს მაგნე სულების შესაშინებლად. „ე კიდე რა არი“, ამბობდნენ აქა იქა: „მკათათვის გასულს კაცის მკამლები უნდა მოვიდნენ“, გაზეთში თურმე სწერია“. იქნება უფრო უკეთესი, უკეთესები დაფქვან, თუ მალე წიგნებსა და სასწავლებელს არ მივაშველებთ სწავლა-განათლების მხრივ უკან ჩამორჩენილს ქიზიყელებს.

ი. გ—რი

რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული

*) იხილეთ „ივერია“ № 182.

რავინ დარჩა?! ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელსაც თავისი თავი არ გაეღმერთებინოს და გულწრფელად მოქმედებდეს!.. ღმერთო“... სასოწარკვეთილებით ჭკდებს გმირი და დასასრულ ჰხედავს ტაძრისკენ მომავალთ თავის დედას და ვიღაც ნინოს, რომელიც ეტყობა სატრფოა მისი, და ემუდარება პირველს, რომ ნუ შეავ ამ ფარისევლებით ავსებულ ტაძარში და ნურც ნინოს შეიყვანს იქ, მაგრამ ისინი მაინც წინ შეიწევენ და ავტორის ტანჯვას ამის გამო საზღვარი აღარა აქვს. „ახ, არ გეყურებათ. მოსდიხართ! ღმერთო!,. დაბრმავდი გონების თვალო, დაჩლუნგდი, გონებავ!.. გული მაინც დამალეთ!.. არ მინდა თქვენ გულს შევეხო... თქვენი საიდუმლო გავიგო... მინდა ეგ ორი გული მაინც არ ვიცოდე!.. ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანთან... მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს!.. მაგრამ... აააბ, ხა, ხა, ხა!.. თქვენი გულიც მეშლება თვალ-წინ!.. არ მინდა არა, არა და არა!.. დაჩლუნგდი, გეუბნები, გონებავ!.. თვალო დაბრმავდი!.. ადამიანის გულწრფელობა მინდა მწამდეს, მინდა!.. არა ჩლუნგდები?!. ეპოტინები მაგ ორ გულსაც? ძალად დაგაჩლუნგებ, დაგაბრმავებ!.. ნებას არ მოგცემ შეეხო მაგ ორ გულს, ჩემს წმიდათა-წმიდას... აი, ეს დამპაჩა მოგიღებს ბოლოს!.. ჰაა!.. დედი... ნინო... მშვიდობით!..“ დაიღრიალა ბოლოს

იმის შესახებ, რომ ოდესაში პრაქტიკული სატეხნოლოგო ინსტიტუტი იქმნას დაარსებული. იმპერატრიცა ეკატერინე II-ის სიკვდილის შემდეგ ასის წლის შესრულების სახსოვრად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა სახელმწიფო ხაზინას ამ საქმისათვის 200,000 მან. გარდასცეს ქალაქის ფულიდგან და ქალაქის მამულიდგან ნაჭერი მიწა დაუთმოს უფასოდ ინსტიტუტის შენობისათვის.

— რადგანაც შემოდგომობით რუსეთის რკინის გზით მრავალი საქონელი გადააქვთ და გადმოაქვთ ხოლმე, გზათა სამინისტროს რუსეთის ყველა რკინის გზებზედ უფროსი ინსპექტორები გაუგზავნია, რომ ადგილობრივ ჩაუკვირდნენ საქმესა და გასაგზავნი საქონელი შესაფერად გაანაწილონ გადასატან-გადმოსატანად.

— კონსტანტინეს სახელზედ არსებულს მიწის მზომელთა ინსტიტუტში დიდი ცვლილება იქნება შეტანილი.

— უმაღლესი საკომერციო ინსტიტუტი, რომლის დაარსებაზედაც პეტერბურგის ვაჭრებმა უარი სთქვეს, ახლა თურმე მოსკოვში აპირებენ დააარსონ. სბირჟო კომიტეტი ამ საქმეს გულმოდგინედ შესდგომია და პროგრამის შემუშავებასაც შესდგომიან მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ს. ალექსეევის ზედამხედველობით. ყველანი თანაგრძნობით ეგებებიან ამ ახალს ინსტიტუტს. განზრახვა აქვთ, ინსტიტუტში სწავლა ისე მოაწყონ, რომ ყურის მგდებლები კონსულებად და საშუალო საკომერციო სასწავლებლების მასწავლებლებადაც გამოდგნენ. ინსტიტუტის უმთავრესი აზრი-კი ის არის, რომ ვაჭრების შვილებმა რიგიანი საკომერციო განათლება მიიღონ.

დ... ეცემ მიუსმა: — „შვილო რა დაგემართა!..—ჰა?!.—საშინლად ჰბორგავდი, სტიროდი.—დედი, შენ?!. ნინო?!.—ჰო, მე, ვიღა ნინო?..— გენაცვა, დედი, დედი!.. სიზმარი ყოფილა!..—ჰო, ძილში სტიროდი!.. —გმადლობ, უფალო, გმადლობ!.. სიხარულის ცრემლის ფრქვევით წამოიჩოქა ლოგინში და მხურვალედ უფალს მადლობა შესწირა, რომ სიზმარში ყოფილა გულთა-მხილავი და არა ცხადად“. ასე ათავებს თავისს ეტიუდს ბ-ნი არაგვისპირელი. ჩვენც გავათავოთ ჩვენი შენიშვნები და უფალს მადლობა შევწიროთ, რომ სიზმარში ყოფილა ჩვენი ავტორი და ყველა იმის ეტიუდებს, „ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი“-ს გარდა, ჩვენს ცხოვრებასთან საერთო არა აქვთ-რა და ავტორის ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ.

მაგრამ განუხილველი დაგვრჩა კიდევ ერთი პატარა ეტიუდი: „ის!?“ („მოამბე“ № XII, 1896 წ.). ეს ეტიუდი აღებულია, როგორც აგრეთვე ამ შენიშვნების დასაწყისში განხილული ეტიუდი: „ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი!“, ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან, რომელ სფერაშიაც ბ-ნი არაგვისპირელი, როგორც ვთქვით, შეუდარებელია და წარმოადგენს ხელოვნურად დაწერილს სურათს ამ ცხოვრებისას. მდიდარის გლეხის ალეკსის შვილს თიკოს უყვარს თავისის ძმის მწყემსი დათა, რომელიც ჯერისთვის ჩამოვიდა იალაღიდგან ალეკსის კა-

—საკომერციო ოდნათა გამავრცელებელს საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე 1898 წლისთვის პეტერბურგში რუსთა შორის საკომერციო განათლების მოღვაწეთა კრება მოიწვიოს.

— პეტერბურგის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში ამ უწყების მოხელენი დღე-ღამეს გაბმით ჰმუშაობენ და მერე მთელს ორ დღე-ღამეს ისვენებენ. ამგვარს შეუსაბამო წესს, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა პეტროვმა, როდესაც თავისს ოლქში ჰმოგზაურობდა. მაგრამ ეს წესი ყველგან როდია მიღებული; ზოგან დღე ღამეში მხოლოდ 8 საათით მუშაობაა დადგენილი და ამ რიგად მოხელენი ყოველ-დღე რვა-რვა საათს მუშაობენ. რადგანაც გენერალ-ლეიტენანტმა პეტროვმა სასურველადა სცნო ყველგან რვა საათით მუშაობა იქმნას შემოღებული, გარდასწყვიტა სულ მოკლე ხნის განმავლობაში ამ მხრივ ცვლილება შეიტანოს აღნიშნულს სამუშაო დროის გაწეს-რიგებაში. გენერალის პეტროვის დავალებით ამ აზრით ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის ახლა პროექტიც შეემუშავებიათ, რომელიც მთავარ სამმართველოს საბჭოს უკვე მოუწონებია.

— დედათა სამკურნალო კურსების სასარგებლოდ გენერალ-მაიორს 20,000 მან. უანდერძებია.

— მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ სტუდენტთა რიცხვს 129 კიდევ მიჰმატებია. ახლა სულ 1129 კაცია, მაშასადამე, ამ წელს მიღებული სტუდენტი.

ლოზედ. აქ ჰნახა თიკო, მაგრამ თქმით-კი არა უთქვამს რა მისთვის; მხოლოდ წასვლისას უთხრა, მთავრის ამოსვლის დროს იქიდგან გადმოგისტვენო და კონცხზე აჩვენა. დაღამდა, კალოებზედ ყველამ დაიძინა თიკოს გარდა, რომელიც მოუთმენლად ელის დათას სტვენას. აი, ისიც მოისმა მთვარის ამოსვლისთანავე და თიკომ გასწია კონცხისაკენ.

შეყვარებულებმა, რასაკვირველია, გულში ჩაიკრეს ერთმანეთი და განცხრომას მიეცნენ, რომ უეცრად მოისმა: „ვინა ხართო?!“ ეს ალეკსი იყო, რომელიც კალოზედ ბრუნდებოდა და თიკო და დათა რომ ერთად ჰნახა, ჯერ მოჩვენება ეგონა და მხოლოდ შემდეგ დარწმუნდა, რომ ნამდვილად ჰხედავდა თავისს შვილსა და მოჯამაგირეს. დარწმუნდა და გულ-მოსულმა „თმაში ხელის წატაცებით დაუტია ალეკსიმ და თიკო წინ წამოიბერტყა“, თან დასძინა: „შე გაგლეჯილიშვილო, შენა, ჩემ მოჯამაგირეს უნდა ეთრევინო?“-ო. როცა დათამ საყვარელი არსება ასეთს ყოფაში ჰნახა, გამოესარჩლა და „ალეკსის ხელი დაუჭირა“. ალეკსის ბრაზი მოერია და „ისე წაჰკრა გულის ფიცარში, რომ დათა წაბარბაცდა და კინღამ გადაქცა. მაშ ეგრე ალეკსი?!-ო—წამოიძახა უკვე გაჯავრებულმა დათამ, მსწრაფლ ხანჯალი იძრო და წინ უყეფა ალეკსის, რომელიც თიკოს გზისაკენ მიათრევდა“. რასაკვირველია, მაშინ სულ გაბრაზდა ალეკსი,

---

უცხოეთი

—

რუს-ფრანგ-ამერიკელთა კავშირი. გაზ. „Eclair“-ში ბ-ნ ტერვილ-რეაშეს წერილია დაბეჭდილი რუსეთის, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებულის შტატების კავშირის შესახებ. ავტორის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ განკერძოებით და განცალკევებით არ ეჭიროს თავი, მსოფლიო პოლიტიკაში პირველის ადგილს დაიჭერდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი რუს-ფრანგთა კავშირს შეუერთდებაო. ამ სახელმწიფოთა დამეგობრება და დაკავშირება, განაგრძობს ავტორი, ძალიან ადვილი მოსახერხებელი და შესაძლებელია. მათი ინტერესები ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება და, მაშასადამე, მათ შორის შეტაკება და უთანხმობა ყოველად შეუძლებელია. სამაგიეროდ სამივე სახელმწიფოს ერთი მტერი ჰყავს—ინგლისი—რომელთანაც ყველასა აქვს საქმე და რომლის წინააღმდეგაც ყველანი ერთად უნდა იბრძოლონ. რუსეთი ინდოეთ-რუსეთის საზღვარზედ ინგლისს ვერ ასცდება, საფრანგეთი ნაბიჯს ვერ გადასდგამს ისე, რომ ინგლისს არ შეხვდეს. გარდა ამ საერთო მტრისა კერძოთ რუსეთსა და საფრანგეთს ერთი მოწინააღმდეგე ჰყავთ—გერმანია, ხოლო რუსეთსა და ამერიკის შეერთებულს შტატებს—იაპონია.

—

ოსმალეთი. გაზ. „Polit. corr.“-ში დაბეჭდილია ცნობები სომხების სარეფოლიუციონერო კომიტეტების და ასეთისავე გაზეთების შესახებ. გაზეთის სიტყვით პირველი ადგილი ამ კომიტეტთა შორის ესრედ წოდებულ „გინჩაკს“ უჭირავს, რომელიც ბინად ლონდონშია. კარგა ხანია ამ კომიტეტის წევრთა შორის უთანხმოება მოხდა, რომდენიმე კაცი გაშორდა და ცალკე გაზეთის გამოცემას, სახელად „მარტს“ (ომი) შეუდგა. კომიტეტი „დაშტაკუციუნ“ ჟენევაშია და თავის საკუთარი გაზეთი აქვს „დროშაკი“ (დროშა). ვენის კომიტეტი „ანდაკ“ არსებობს მხოლოდ სახელით საქმეში-კი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ამ რამდენიმე ხნის წინად ბოლგარიაშიაც დაარსდა კომიტეტი სახელად „ხაირენასერკ“ (პატრიოტები), რომელსაც კონსტანტინეპოლის უკანასკნელ აფეთქებებს აბრალებენ. საკუთარი გაზეთი ამ კომიტეტსაც აქვს—„ირავუნკ“ (უფლება).

—

რუს-ფრანგთა კავშირი. რუს-ფრანგთა კავშირმა საფრანგეთის თითქმის ყველა გაზეთები აალაპარაკა. მათის სიტყვით რუსეთი და საფრანგეთი ჯერ ისევ ალექსანდრე მეორეს მეფობის დროსვე სცდილობდნენ დამეგობრებულიყვნენ და დაკავშირებულიყვნენ, მაგრამ ბისმარკი წინაღუდგა ამ განზრახვას და ყოველგვარის ხრიკების საშვალებით ჩაშალა იგი. ერთხელ ბისმარკმა უთხრა საფრანგეთის ელჩს ერბერტტს: „ვიდრე მე კანცლერის თანამდებობა მიჭირავს, ნებას არ მივსცემ, საფრანგეთი და რუსეთი შეერთდეს. მე ყოველ ღონე ვიღონებ, რომ გერმანია ორ ცეცხლშუა არ მოჰყვეს. და მართლაც რუს-ფრანგთა კავშირის განხორციელება მხოლოდ მაშინ იქმნა შესაძლებელად, როდესაც ბისმარკი გადადგა თანამდებობიდგან.

რუს-ფრანგთა კავშირი 1891 წელს დაიწყო, როდესაც საფრანგეთის ესკადრა კრონშტატში მივიდა. მას შემდეგ ეს კავშირი თანდათან ძლიერდებოდა, მხოლოდ ოფიციალურად არ იყო გამოცხადებული. აღმოსავლეთის საქმემ დააჩქარა ამ კავშირის დასრულება. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰანოტომ ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას, რომელშია აცხადებდა, რომ საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესები აღმოსავლეთის საქმეში ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და თუ რუსეთი თანახმაა კავშირისა, ფორმალური ხელშეკრულობა დასდოს საფრანგეთთან, მაშინ იგი აღარ ახირდება და დაუთმობს რუსეთსაო. საფრანგეთის მთავრობა დარწმუნებულია რუსეთის გულწრფელობაში. მაგრამ პარლამენტი და ერი ფორმალურ ხელშეკრულობას თხოულობსო. რუსეთის მთავრობამ ამის შემდეგ გრაფი მურავიოვი გაგზავნა საფრანგეთში, რომელმაც გამოუცხადა საფრანგეთის მთავრობას, რომ ხელშეკრულობა 1897 წლის განმავლობაში იქმნება ხელ-მოწერილიო. ოსმალეთ-საბერძნეთის ომმა და კრიტის საქმემ ცოტა შეაგვიანეს ამ განზრახვის სასრულეში მოყვანა, მაგრამ 26 აგვისტოს მაინც ხელშეკრულობაზედ ხელი მოაწერეს და ამითი ყოველგვარი ეჭვი განქარწყლებულ იქმნა.

—

გერმანია. კარგა ხანია გერმანიის გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ იმპერიის კანცლერი თავადი ჰოჰენლოე სამსახურს თავს ანებებსო. იმის მოადგილედ ასახელებდნენ გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარს ფონ-ბიულოვს. მაგრამ ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ის სხვა ბიულოსი ყოფილი, სახელდობრ მე-14 კორპუსის უფროსი, გენერალ ფონ-ბიულოვი, რომელიც ნათესავად მოხვდება დიპლომატს ბიულოვს. გენ.

ბია და იმიტომაც არა ჭვავს ბ-ნ არაგვისპირელის ახალს ეტიუდებს, რომლებიც ჩვენ ამ წერილში განვიხილეთ, და შეძლებისადაგვარად, გულწრფელად დავფასეთ! დასასრულ, ვისურვოთ, რომ ბ-ნი არაგვისპირელი კვლავ დაჰბრუნებოდეს თავისს სფერას და მოეძღვნას ქართველ საზოგადოებისთვის იმისთანა სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებისა, როგორიც „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!“, „ის!?“ და პირველის ხანის სხვა მისი ნაწარმოებია; აღარ აჰყოლოდეს ფეხის ხმას, ქართველი გიუ დე-მოპასანობა იმათთვის დაეთმოს, ვინც გადაგვარებულა და ქართული მხოლოდ გვარიღა შერჩენია და თვითონ დაკმაყოფილებულიყოს არაგვისპირელობით! განა ცოტანი გვყვანან იმისთანანი, რომელთაც საქართველოს ცხოვრებისა არა გაეგებათ-რა, დაჰშორებიან მშობლიურს ნიადაგს და მხოლოდ უცხო ქვეყნების ცხოვრება შეუფერებიათ? დეე, იმათ მიჰბაძონ გიუ დე-მოპასანს, რადგან სხვა აბა რა შეუძლიანთ ჩვენი ცხოვრების უმეცართ, ხოლო ხალხის შვილმა, ხალხის ძაძეთი გაზრდილმა, რომელსაც ხალხის კვნესა, ტირილი „ნანად“ ჩასმენია აკვნიდანვე, დე, ეს ხალხი გაგვაცნოს თავისის კარგითა და ავით, ღირსებითა და ნაკლულევანებით მშობელის ქვეყნის სასარგებლოდ და თავისდა სასახელოდ!..

დუტუ მეგრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი ფონ-ბიულოვი დაიბადა 1837 წ. ბერლინში, მაშასადამე, ამ ჟამად იგი 60 წლის კაცია. სამსახური 1854 წელს დაიწყო, ხოლო გენერლობა 1874 წელს მიიღო.

დამეგვირდი

ბიბლია უფრო დიდი სეგვირველებსა, ვიდრე ყველა სეგვირველებანი, მას მიერ მოთხრობიდნი.

ამალია ფერსტერ-გალიცინი

* * *

ფე-შოსგონება წნდი არ არის, რომ რამდენისმე წლით დამარდებულ იქმნას.

გიოტე

* * *

თავ-მოყვარე კაცი ყოველთვის მარ-ცოვნელი და მიეგვრებული უნდა იყოს.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

(ამოკრებილი ამბები)

პარიეის გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს უნდა გაიმართოს, ბ-ნი რეკლიუ ამზადებს ძლიერ დიდს გლობუსს, რომელიც მხლოდ 320,000 ჯერ ნაკლები იქმნება მთელ დედამიწაზედ. რა თქმა უნდა, ამ გლობუსის ნახვა ძლიერ საყურადღებო იქმნება ყველასთვის, ვინც გამოფენას დაესწრება.

* * *

თითქმის ყველა სახელმწიფოში გამართულია შემნახველი კასსები ღარიბ მეტოვრებათვის და ხელოსნებისათვის. ეს კასსები შესანახ ფულში სარგებელსაც აძლევენ შემნახველს და რაც უნდა ცოტა ფული მიიტანოს კაცმა ამ კასსაში, მაინც მიიღებენ შესანახად. ამ კასსის სარგებლობა ღარიბ ხალხისთვის აშკარაა. საქმეს მარტო ის უშლის ხელსა, რომ ხელოსანი კაცი თითონ უნდა მივიდეს კასსაში და კარგა ხანს მოსცდეს, ვიდრე ფულს გამოართმევენ, ჩასწერენ წიგნში და ფულის მიღების ბარათს მისცემენ. ამ უხერხულების ასაცილებლად იტალიაში გაუმართავთ ისეთი მანქანა, რომელშიაც კაცს შეუძლიან წვრილი ფული ჩაგდოს, მანქანა იმ წამსვე გადმოაგდებს კვიტანციას. ამ გვარად, ხელოსანსა და მუშა კაცს დრო არ ეკარგება შემნახველ კასსაში სასიარულოდ. როცა ასეთი კვიტანციები ბევრი მოუგროვდება კაცს, წავა კასსაში და წვრილ ფულის მიღების კვიტანციებს სხვაზედ გამოუცვლიან. შემნახველი კასსა შეტანილს ფულში მანაზედ 4 კაპიკს იძლევა სარგებელს და გარდა ამისა, ყველას მონაწილეობა აქვს კასსის მოგებაში.

* * *

მკითხველს მოეხსენება, რომ ამერიკაში ამ ჟამად ბევრს რასმისთვის ხმაობენ ქალაღლს და ქალაღლის სახლებსაც კი აშენებენ. ქალაღი იმით სჯობიან სხვა-და-სხვა გვარ ლიფთნს, რომ არა ვანგდება და ადვილად არ იმტვრევა, ამასთანავე სუბუქიც არის და იეფიც. ამ ბოლოს დროს ამერიკაში ქალაღლის ბოთლებსაც აკეთებენ. ეჰეი არ არის, რომ ქალაღლის ბოთლი, თუ კარგად გაკეთდა, შეშის ბოთლსა სჯობიან. ჯერ ერთი რომ შედარებით ძლიერ სუბუქია და არც დიმტვრევა. განსაკუთრებით გამოსადეგი იქმნება ქალაღლის ბოთლი გემებზედ, სადაც ღელვის დროს ბოთლები იმტვრევა ხოლმე. სრულებით არ იქმნება საკვირველი, რომ ამერიკელებმა ქალაღლის ტურბელიც გააკეთონ.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲛᲐᲢᲘᲜᲔ

ბარამ შაბურიშვილის მოკვლის საქმე.

გუშინ, 4 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება ქ. დუშეთში უნდა შესდგომოდა განხილვას სოფ. ბოგას მცხოვრების ბარამ შაბურიშვილის მოკვლის საქმისას, რომლის ბრალიც ედებათ აზნაურს დავით ივანეს ძე კეზელს და სოფ. ჯეგაურის მცხოვრებს გლეხს ალექსანდრე გაბრიელის ძე მახარაშვილს.

ამ საქმეზედ დაბარებულია 15 მოწამე და ექიმი ბროძელი ექსპერტად. დ. კეზელს იცავენ ნაფიცის ვექილის თანაშემწე ბ-ნი ჯაბადარი ბ ნაფიცი ვექილი ბ-ნი ტურკოვსკი. აი როგორ მოგვითხრობს ამ საქმის გარემოებას საბრალმდებლო ოქმი:დუშეთის მაზრის სოფ. საშაბუროში, ბოგაში და საკრამულში შაბურიშვილებს, ფავლენიშვილებსა და ნათიშვილებს საბალახო ადგილები აქვთ: ერთ ამათგან ამ 4—5 წლის წინად დავით კეზელმაც შეიძინა იქ საბალახო ადგილი და იმათი მონაწილე შეიქმნა; მებატონეები მხოლოდ გლეხებისაგან იღებდნენ საბალახო ბაჟს, ხოლო 1895 წელს კეზელმა შეჰკიფა ყველა მონაწილე და წინადადება მისცა, თვით მებატონეებსად გადაეხადათ ბაჟი და მერე გაეყოთ ერთმანეთ შორის ადგილის სივრცის დაგვარად. მონაწილეები დაეთანხმნენ და გადასწყვიტეს: იხადონ ბაჟად 100 ცხვარ ზედ—3 ცხვარი და 100—ღორზედ ხუთი ღორი. 1896 წ. ოქტომბრის დამლევს შეჰკრიბეს ბაჟი. იმ დროს კეზელი სახლში არ იყო და ამიტომ მიჰმართეს მისს მეუღლეს: „დავითვალით თქვენს ჯოგს და თანახმად პირობისა, ავიღებთ ბაჟსო.“ ბაჟად მოკრებილი ცხვრები და ღორები სადღელში დაამწყვდიეს და მეორე სოფელში გადავიდნენ; ამ დროს კეზელის მოსამსახურეებმა დაანგრიეს ამ საბძელის კედელი და გამორეკეს კეზელის საქონელი და სხვებისაც გაიფანტ გამოიფანტნენ. 31 ოქტომბერს შეიტყეს ეს ამბავი შაბურიშვილებმა, მივიდნენ კეზელთან ხელ ახლად, წამოიყვანეს 6 ღორი და სოფ. საშაბუროში ჩარეკეს დავით ნიკოლოზის ძის შაბურიშვილის ეზოში. დავით კეზელი არც ამ დროს ყოფილა სახლში და ეს ამბავი უცნობებია იმისთვის ქ. დუშეთში საგანგებოდ გაგზავნილს სანდრო მახარაშვილს.

ფავლენიშვილებსა და შაბურიშვილებს გაუნაწილებიათ ბაჟი, საღამოზედ დამჯდარან ვახშმად დავით შაბურიშვილის სახლში და ღამის პირველ საათამდე უქეიფნიათ. ნავახშმევს შაბურიშვილებს თავიანთი წილი საქონელი წაუსხამთ და გამგზავრებულან სახლში, სოფ. ბოგაში. გზა კეზელის სამოსახლოსთან მიდიოდა და ეუბკვლად იქ უნდა გაევლოთ: როდესაც კეზელის საბძელს მიაღწიეს, რამდენჯერმე გავარდა თოფი ხრამიდამ და შემდეგ იქიდამვე გამოვარდნენ კეზელი და მისნი მსახურნი; კეზელი და სანდრო მახარაშვილი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი: კეზელი გაიძახოდა. „მოჭკალით ყველა და პასუხს მე ვაგებო“! შეშინებული შაბურიშვილები იქით-აქეთ გაიფანტნენ და როდესაც ფავლენიშვილების სახლს მიაღწიეს, შეშინენს, რომ იმათთან არ არიან ზოგი იმათი ამხანაგები და დაუწყეს ძებნა. ამ დროს ფავლენიშვილის სახლთან მოიკრნენ კონსტანტინე და დავით ლეკანის ძენი შაბურიშვილები და გამოუცხადეს ამხანაგებს, რომ „კეზელმა ბარამ შაბურიშვილი მოჰკლა ხრამშიო!“ იმავე დავით შაბურიშვილის ჩვენებიდგან სჩანს: როდესაც დავით კეზელი და მისნი მსახურნი დაედევნენ ბარამსა და იმისს შვილს, ხეს ამოვეფარე და იქიდამ ვუყურებდი ყველაფერს: კეზელი და მახარაშვილი თოფებით იყვნენ და ოღადეს დიდი ხელ-კეტი ჰქონდა. ბარამი ეეედრებოდა, ნუ მომკლავთო, მაგრამ კეზელმა პირდაპირ მას დაუმიზნა და ესროლა თოფი. ბარამი და კონსტანტინე ორივენი ჩავარდნენ და დაეცენ ხრამში; მახარაშვილიც ჩაჰყვა და იქიდამ ამოსძახა კეზელს: „ჩაძაღლდნენო!“ ამის შემდეგ კეზელი და მისნი მსახურნი გაემგზავრნენ არხეინადაო.

ბარამის შვილი კონსტანტინე შაბურიშვილი თავისს ჩვენებაში, სხვათა შორის, ამბობს: „როდესაც მე და მამაჩემი ხრამის განაპირას მივრბოდით, უკან აგვედევნა კეზელი და მისი მსახურნი და დაგვიშინეს კეტები; ბოლოს ხრამში რომ ჩავედით, თან ჩაგვყვნენ მსახურნი ცემით, კეზელი-კი თოფით ხელში ხრამის ნაპირას იდგა; ამ დროს კეზელმა თავისს მსახურებს, რომელნიც ჩვენ ჩამოგვყვნენ ხრამში, უბრძანა—გაიწიეთო!“ და სამჯერ დასცალა თოფი. მახარაშვილმა მე შემომკრა ყბაში თოფის კონდახი. იმდენად შეშინებული ვიყავი, რომ ვერ შევამჩნიე კეზელის თუ მახარაშვილის ტყვიამ მოჰკლა მამაჩემი, რადგან ორივენი ერთსა და იმავე დროს სცლიდნენ თოფს.

დავით კეზელს წერილობითი ჩვენება მოუცია გამომძიებელისა და ბრალმდებლისათვის, რომელიდამაც სჩანს, რომ 3 ოქტომბერს—შაბურიშვილები თავს დამესხნენ სახლში, როდესაც მე სხვაგან ვიყავი და გაესხეს ჩემი საკუთარი 70 ღორიო. იმ დღეს საღამოს დავბრუნდი თუ არა სახლში, ყოველივე გამოუცხადე ადგილობრივს მამასახლისს, ჩემს მსახურებს-კი ვუბრძანე, შემდეგში მაინც ბეჯითად ემწყემსნათ ჩემი საკუთრება. იმავე ღამეს 1 საათზედ ხელ-ახლავ დამესხნენ თავს შაბურიშვილები; ჩემს მსახურებსა და შაბურიშვილებს შორის ჩხუბი ატეხილა და ამ ჩხუბში ბარამ შაბურიშვილი მოუკლავთო. თავის თავს დამნაშავედ არა სცნობს.

არც მახარაშვილი სცნობს თავის თავს დამნაშავედ და თავის გასამართლებლად ამბობს, რომ კეზელის ბრძანებით მე და ოღადე გავემგზავრეთ საღამოს ღორების საძებრად და რომ ვერა იპოვეთ-რა, ნაშუაღამევს დავბრუნდით სახლიასაკენ, კეზელის საბძელთან რომ მივაღწიეთ, მოგვკვეხენენ შაბურიშვილები და დაგვიწყეს თოფის სროლაო; შაბუროვებს შემდეგ ნიკოლოზ და კონსტანტინე ფავლენიშვილებმაც, რომელნიც შაბურიშვილების უკან იდგნენ, გვესროლეს თოფებიო, მე ამოვეფარე ხეს და იქიდამ ფავლენიშვილის სახლისაკენ ორჯელ დავცალე თოფიო. ამ დროს კეზელიც გამოვიდა თავისის სახლიდამ უეიარაღოდ. კეზელი ამბობს თავის ჩვენებაში, რომ „ღამის პირველ საათზედ ჩემმა ცოლმა გამაღვიძა, რომელიც თოფის სროლას შეეშინებინა; გამოვედი ეზოში ჩაუცემელად და გამწვავებულს ჩხუბს წავესწარი; ესთხოვე შაბურიშვილებსა და ფავლენიშვილებს, დაწყნარდით მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს; ბოლოს იმითთან დავინახე მამასახლისი და მოვიპატიჟე იგი. მამასახლისმა ხრამში ნახა მოკლული ბარამ შაბურიშვილის ცხედარი. დავით შაბურიშვილი და ლუარსან ფავლენიშვილი მტრები არიან ჩემი და ბარამ შაბურიშვილის მოკვლაშიაც ცილს მწამებენო. „ცნ. ფურც.“.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

3 სექტემბერი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: 1897 წლის 3 ივნვარს გამოცემული ჩვენის უქაზით ვბრძანეთ ჩვენ მოკრა და სახმარებლად გამოცემა ოქროს ფულისა ზედ წარწერით იმპერიალზედ 15 მან. და ნახევარი იმპერიალზედ 7 მ. 50 კ. ამ ღონისძიების წყალობით უქაზს ფულის ფასი ეხლა უდრის მისს ნამდვილს ფასს, ესე იგი იმას, რომელზედაც შეიძლება დახურდავება ქაღალდის ფულისა. ამ უქაზის ძალით ქაღალდის ფული უდრის ოქროს ფულის ფასს. ამ ჩვენს უქაზს არ ეთანხმება უწინდელი კანონი შესახებ ქაღალდის ფულის გამოცემისა, რომლის თავმდებად ოქროს ფული უნდა იყო. ამიტომ, რათა ქაღალდის ფულის გამოცემა და ხმარება მტკიცე ნიადაგზედ იყოს დამყარებული დავადგინეთ შემდეგი:

სახელმწიფო ბანკი გამოსცემს მხოლოდ იმდენს ქაღალდის ფულს, რამდენიც საჭირო იქმნება სახმარებლად. ქაღალდის ფულის თავმდებად ბანკს უნდა ჰქონდეს სწორედ ნახევარი იმისი, რამდენიც ქაღალდის ფული გამოიცემა ე. ი. 600 მილიონი მანათისა. იმ ქაღალდის ფულის თავმდებად, რომელიც ამ ჟამად ხმარებაშია და 600 მილიონ მანათს აღემატება, უნდა იყოს ოქრო, რომ მანათის ქაღალდის ფულზედ მანათისავე ოქრო იყოს, ე. ი. 15 მანათის ქაღალდის ფულზედ თანხად უნდა იყოს ერთი იმპერიალი.

ᲧᲐᲖᲐᲜᲘ. 2 სექტემბერს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმერი.

ᲝᲓᲔᲡᲐ. 2 სექტემბერს კონსტანტინეპოლიდგან მოვიდა აბაშეთიდგან მისსია, რომელსაც მეთაურობს ეკვატორზედ მდებარე პროვინციების გუბერნატორი ლეონტიევი. ლეონტიევს თან ახლავან ნეგუსის მდივანი ატტო იოსები და სხვა წევრნი მისსიისა და აგრედვე ორი ახალგაზდა აბაშელი, რომლებიც პეტერბურგში არიან გაგზავნილნი სამხედრო საქმის შესასწავლად. მისსიას მიაქვს საჩუქრები ხელმწიფე იმპერატორი სათვის—5 ძვირფასი ცხენი, სხვა ძვირფასი საგნები და აგრედვე ნეგუსის მიერ დაწერილი წერილები ხელმწიფესთან და იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულთან. ამ წერილებით ნეგუსი მადლობას სწერავს იმპერატორსა და იმპერატრიცას წინეულ ჯვრის დასის გამოგზავნისთვის იტალიასა და აბაშეთის ომის შემდეგ. ამ მისიასთან ერთად კონსტანტინეპოლში მყოფი პრინცი ჰენრიხ ორლეანელი რუსეთში აღარ წავიდა, თუმცა უწინ ეს განზრახვად ჰქონდა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ელჩები კრებაზედ მორიგდნენ ოსმალეთ საბერძნეთის ზავის პირობათა შესახებ. ეს ამბავი შეატყობინეს თევფიქ-ფაშას და მიიწვიეს თოფხანეში ხვალინდელ კრებაზედ.

ᲡᲔᲜ-ᲥᲐᲥᲔᲜᲘ, ფორმა ჯარი დაათვალიერა სიამის მეფის თანადასწრებით. ხალხი აღტაცებით მიეგება ჯარის კაცთ და გენერალ ფრედერიკს. ფორმა ორდენები უბოძა ზოგიერთ უცხოელთა აფიცრებს; გენერალს ოსტროგრადსკის ებოძა სპატიო ლეგიონის ორდენი 2 ხარისხისა. პოლკოვნიკს ბასანკევიჩს—იგივე ორდენი 4 ხარისხისა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

20 აგვისტოს დ. აბასთუმანში წარმოდგენა გაემართა საქველმოქმედო ხარით. აი ანგარიში ამ საღამოს შემოსავალ-გასავლისა:

საღამო გაიმართა აქაურ საცეკვაო დარბაზში. სრული შემოსავალი იყო 292 მ., 35 კ., რომელიც ამ რიგად განაწილდა: არტისტ ალექსანდროვს მიეცა 71 მან., „წერა-კითხვის გამგრცელებელ საზოგადოები“-ს სასარგებლოდ 144 მან. 25 კაპ., საზანდარს 16 მან., როტონდის ქირა—10 მან., აფიშები—6 მან., ავტორის სასარგებლოდ—2 მ. 50 კაპ.. პარიკმახერს—3 მან., მოსამსახურეს—5 მან., სცენის მოსაწყობად და ტან-საცმელზედ - 12 მ. 75 კაპ., მარკები —8 მან., 85 კაპ. და სხვა და-სხვა წვრილმან საჭიროებისათვის—13 მანეთი, სულ 292 მანეთი 35 კაპ.

გიგზავნით ამ 144 მ. 25 კ. და უმორჩილესად გთხოვთ გარდასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას. გარდა იმ 144 მ. 25 კ. იმავ საღამოს სასარგებლოდ შემოვიდა მათის იმპერატორეობითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისაგან 25 მან., რომელიც მაზრის თანაშემწეს გარდაეცა და ამან პირდაპირ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გაუგზავნა.

ეს საღამო გავმართე მხოლოდ იმ აზრით, რომ მთლად საღამოს შემოსავალი, რომელსაც ამ ანგარიშით ერთათ გიგზავნით,მოიმზარდეს ქართულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას სოფ. ავჭალაში, სადაც ერთობ დიდი და მეტად საგრძნობელი საჭიროებაა ამისი. ეს სოფელი, იმისდა მიუხედავად, რომ ზედ ტფილისს აკრავს, ერთობ დაქეთეთბულია გონებრივ. აქვე, თქვენის გაზეთის სწაულებით ვაცხადებ, რომ მე ჩემის მხრივ არ დაეზოგავ არც შრომასა და არც ფულს, რამდენიც-კი საჭირო იქმნება პირველ დაარსებისთვის, თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ისურვებს ამ ჩემის აზრის განხორციელებას, ე. ი, დაარსებას წიგნთ-საცავისას სოფ. ავჭალას.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ ჩემი უგულითადესი მადლობა გამოუცხადო აქ მყოფ ქართველ საზოგადოებას, რომელმაც ამ საღამოზედ დასწერებით დიდი თანაგრძნობა გამოაცხადა, და აგრეთვე იმათ, რომელთაც მიიღეს წარმოდგენაში მონაწილეობა.

ქ-ნთ ო. შულცისას, ლ. კრენდოფსკისას, ალექსანდროვისას, ვ. შიხინოვისას და ბ-ნთ ი. შულცს, ბენდოფს, გურიინკოს, ალექსანდროვს და ი. ზ. გოშაძეს, რომელმაც ნაკლებ ფასად დამითმო საცეკვაო დარბაზი.

ალიოზ შიხინაშვილი

Дозволено цензурою. Тифлисъ 4-го Сентября 1897 г. სტ-ბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲥᲐᲕᲐᲫᲔ.